

საქართველოს  
საბჭოთაო  
საქართველო



მთავარი კომიტეტის ოფისი

№ 436 საბჭოთა, აპრილის 3 1923 წ.

ყოველდღიური გაზეთი

ფასი 10,000

### საქართველოს ავტონომიის კარგადი ხსენება

წევრების საყურადღებოდ.

რომ ხუთშაბათს 5 აპრილს, საღამოს 6 საათზე შესდგება აღმასკომის სხდომა.  
განსახილველია საბინაო და მიმდინარე საქითები.

პრეზიდიუმი.  
№ 312-2-1

### ქუთაისი

ქუთაისის საქართველოს მეორე დედა ქალაქია. ქუთაისში სცემდა ჩვენი საზოგადოებრივობის მაცია. იქ ერთი ჩვენი კულტურული აღორძინების ქუჩა. ქუთაისში მოგვცა საუკეთესო მოღვაწენი და მსახური ქვეყნისა. ქუთაისში შეასრულა დიდი მისია სკოლის გაქართულებაში; აქ მუშაობდნენ საუკეთესო პედაგოგიური და კულტურული ძალები. ქუთაისში ახალგაზრდობის აღზრდის ცენტრი იყო. იქ ყვაოდა საზოგადოებრივი და კულტურული ცხოვრება. ქუთაისი იზრდებოდა და ყვავდებოდა.

დღეს კი ქუთაისი მოწყვეტილია. კულტურული ცხოვრება არ სდგას თავის სიმბოლურად, ქუთაისი გაპარტახდა, ქუთაისი დაეცა.

ეს საკითხი არ არის უმნიშვნელო საკითხი ჩვენი ცხოვრებისა. იგი არ შეიძლება კორექტირებული იქნას, როგორც რომელიმე სოფლისა თუ დაბის სამშუბარო ამბები.

ქალაქების ზრდა ქვეყნის ეკონომიური და კულტურული ზრდის შედეგია. ქალაქის დაცემა უტყუარი საბუთია მხარის მოღუბნის, მისი დაქვეითების.

რკინის-გზის პირდაპირი ხაზის დაშორება ერთი მხრით და სამრეწველო ცენტრის განუვითარებლობა მეორე მხრით ქუთაისს განვითარების გასაქანს არ აძლევს. ამ მდგომარეობას ყურადღება უნდა მიექცეს. ქუთაისში უნდა გადავირთოთ როგორც სამრეწველო, ისე საადმინისტრაციო ხასიათის დაწესებულებანი, რომლებსაც უშუალო კავშირი არა აქვს ცენტრალურ ორგანოებთან.

ქუთაისის თეატრი უნდა აღვადგინოთ და კუჩარის მზავის შენობის ნაცვლად უნდა შევიქმნათ თეატრისათვის შესაფერი ბინა. ყოველივე ამ მიზნისათვის შეიძლება გამოყენებულ იქნეს ის სიმდიდრე, რომელიც საკათედრო ტაძრიდან არის მიღებული.

სიმპარტიურად უნდა ჩაითვალოს ქარხნის გახსნისათვის ზომების მიღება. 200-300 მუშაინი ქარხნის ამოშენება ქუთაისს დიდად წააწყვეს მას წინ.

ავრთვე ყურადღება უნდა მიექცეს შემდგომ გარემოებას: ქართველები მეტად ცენტრალისტები გამოვლენიან. როგორც პოლიტიკური მიმართულებანი თითქმის ყველა ცენტრალისტის ნიდაღზე სდგას, ისე თვით მოქალაქენიც ცდილობენ, რომ როგორც ცენტრში ამოყვანონ თავი. ჩვენში თითქმის რაღაც მიუღებელ მოვლენათ სთვლის ინტელიგენტი ან „ინტელიგენტი“ ბრკალელებში ჩასმული, რომ რუსთაველის პროსპექტზე არ უხდებოდეს გავლა და ტფილისის მოქალაქის სახელს არ ატარებდეს.

ტფილისში მოეშურებოდა და მოეშურება ყველა, ვისაც კი რითიმე საშუალება აქვს გასივლიდეს პერიფერიებს, სხვა დედა-ქალაქებს. ასეთი ცენტრალისტული კულტურული ძალებისა და, შეგნებული ჯუშების, ქვეყნისათვის არ არის კარგი.

პარიზი საფრანგეთის კულტურის გულია, მაგრამ პარიზის მოსუვენარ ცხოვრებისაკენ ისე არ ისწრაფის საფრანგეთის მოქალაქე, როგორც ტფილისის მტვერიანი ქუჩებისაკენ ქართველი კაცი. იქ უფრო პროპორციულად არის განაწილებული კულტურული ძალები, სამრეწველო ცენტრები და სხვა, ვიდრე ჩვენში.

ჩვენ უნდა შევიქმნათ პირობები რომ პერიფერიებიდან არ გამოვრდნენ ცენტრისაკენ.

ხელი უნდა შეუწყობდეს ადგილობრივად კულტურული მუშაობის გაჩაღებას, უნდა აესწიოთ ხელფასის სიდიდე. უნდა ავამოძრაოთ საზოგადოებრივი ცხოვრება და ჩავაბათ შივ ადგილობრივი ძალები.

დღეს ქუთაისში ყოველდღიური ვაჭრები არ გამოდის. ამ რამდენიმე წლის წინად კი რამდენიმე ვაჭრები გამოდიოდნენ ყოველდღიურად და მრავალ გამოცემებს ქონდა ავგილი.

საქიროა ქუთაისის აღორძინებას მიექცეს ყურადღება.

**გაზეთი „საქართველო“ ღირს**  
თვიურად 200,000 მან.

ცალკე ნომერი ყველგან 10,000 მან.  
რედაქცია და კანტორა: ტფილისი, ხახაბის ქუჩა, № 6  
ტელეფონი 10-84 — ფოსტის ყუთი, № 190.

**განცხადება**  
1 გვ. 60,000 მან. ნაშრომი  
4 „ 50,000 მან. ნაშრომი  
საბჭოთაო განცხადება  
1 გვ. 800,000 მან.  
4 „ 500,000 „

**რადიო დაჯიშები**

მოსკოვი, 31 მარტი. დღეს 2 საათი პარტი-სორები: მინკოვსკი, ფარხურეი, კრამერა, ხელმე. პრეზიდენტი: კოვალენკოვი.  
განმარტებლობის სახალხო კომისარია: ხელმე.

**ახს. ლენინის წინაშე**  
(ბიულეტენი № 15).  
მოსკოვი. 31 მარტი. ტემპერატურა 87,8 მა-ჯის ცემა—120. საერთო მდგომარეობა უკეთესია.

**ახს. ოლქის ოკუპაცია**  
ხისხლის მღვრელი შეტაკებანი ეხენში.  
მოსკოვი. 2 აპრილი. ესენში საფრანგეთის ჯარისკაცთა მიერ ავტონომიული გარეებისა და კრუპის ქარხნების დაკავების დროს მოხდა ის-ხლის მღვრელი შეტაკება. ფრანგული ვერსის თა-ნახმათ ქარხნის ტერიტორიაზე შეგროვილი 10.000 მუშა ალყა შემოარტყა საფრანგეთის ჯარისკაცებს და მოუჭრა მათ ქარხნიდან გამოსავალი. საფრან-გეთის ჯარისკაცებმა დაიწყეს ტყვეობისმტყვევლე-ბიდან სროლა. მოკლულთა და დაჭრილთა რიცხვი დიდია. გერმანულ ვერსის თანახმად ფრანგებმა ასტეხეს სროლა მხოლოდ იმიტომ, რომ მუშებმა თავის დროზე ვერ შეასრულეს განკარგულება ქარხნის ტერიტორიის გაწმენდის შესახებ.

**მრეწველთა წინააღმდეგობა.**  
მოსკოვი. 2 აპრილი. რურის ოლქის მსხვილ მრეწველებმა დაადგინეს უარი სთქვან ოკუპანტე-ბის მიერ ნახშირზე დაწესებულ გადასახადის გა-დახდაზე, განაცხადეს რა, რომ მთელ პასუხისმგებ-ლობას ამ უარისთქმისათვის ისინი ღებულობენ პირადად თავის თავზე.

**ინგლისში უარი ხტევა შუამდგომლობაზე.**  
მოსკოვი. 2 აპრილი. „პტი პარიზის“ ცნო-ბით თითქმის გერმანიის ელჩმა ლონდონში ინახუ-ლა ბონარ ლოუ, რომელსაც ის სთხოვდა მიეღო თავის თავზე ინიციატივა საფრანგეთსა და გერმა-ნიის შორის მოლაპარაკების განახლების საქმეში. გაზეთის სიტყვით ბონარ ლოუმ კატეგორიულად უარყო ელჩის წინადადება და განაცხადა, რომ გერმანიამ უშუალოდ უნდა მიმართოს საფრანგეთს და ბელგიას.

**„მატენი“ ეჭვობს.**  
როში. 2 აპრილი. ეხება რა რურის კონფ-ლიქტში ვატიკანის ჩარევის შესახებ უწყისი შესა-ხებ გავრცელებულ ხმებს, „მატენი“ ეჭვი შესდის ამ ჩარევის ნაყოფიერებაში და ამტკიცებს, რომ მხოლოდ ომის გამო საფრანგეთის დანგრეულ რა-

**ახს. აღმოსავლეთი.**  
**დეპუტატ ალი-შუქრის დაკარგვა**  
ანკარა, 31 მარტი. დღეს ოსმალეთის დიდ ეროვნულ საბჭოს სხდომაზე მთელი რიგი ორატო-რებისა გამოთქვამდნენ აზრს, რომ სადუმლოთ და-კარგული ტრაპიზონის დეპუტატი ალი-შუქრი მოკ-ლულია პოლიტიკურ მოტივებით. მემარჯვენე ჯგუ-ფის ორატორებმა წინადადება მისცეს მთავრობას მკვლელების სასწრაფო მონახვის, წინააღმდეგ შე-მთხვევაში მთავრობის გადადგომა. კომისარია სა-ბჭოს თავმჯდომარემ განაცხადა, რომ მთავრობის მი-ერ მიღებულია სასწრაფო ზომები მომხდარ ამბების გამოსარკვევით.

**არქვა. ალი-შუქრის დაკარგვის შესახებ.**  
ანკარა, 31 მარტი. ოსმალეთის მთელი პრესა ალაპარაკებულია ტრაპიზონის დეპუტატის ალი-შუქრის დაკარგვის შესახებ. ვაჭრები „ხაკიმშიეტ მალიე“ ამბობს, რომ არავითარი საფუძველი არ არის ვიფიქრობ, რომ ალი-შუქრის დაკარგვა გამო-წვეულია პოლიტიკური მოტივებით. ალი-შუქრი იყო მეჯლისში მემარჯვენე ჯგუფის მუდმივ ორატორათ 1921 წლის იანვარში და შემდეგ იმავე წლის მარ-ტში ის ხელმძღვანელობდა ტრაპიზონის გაზეთს „ისტეპალს“.

**მისწრაფვიან გერმანულ დუქმიანკენ**  
ლონდონი. 2 აპრილი. ვაშინგტონიდან იტყო-ბინებთან, რომ ამერიკის მთავრობამ აუწყა ოსმა-ლეთის კომისარია საბჭოს, რომ ამერიკის განზრა-ხული აქვს წინადადება მისცეს ოსმალეთის მთავ-რობას, რათა მან დადასტუროს 15 წლის წინეთ

**უცხოეთი**  
**მუშები იმარჯვენე**  
მოსკოვი, 2 აპრილი. შვეიცის ხეტყის დამმუ-შავებელ მრეწველობაში გამოცხადებული ლოკაუტი, რომელიც გავრცელდა ორი თვე, დამთავრდა და მ-ქირავებელთა დამარცხებით. მუშების მოთხოვნით და გასული წლის ხელშეკრულების გაგრძელების შე-სახებ დაქაყვანებულ იქნენ. არ დაუშვიათ აგრე-თვე შრომის ხელფასის შემცირება და საშუალო დღის გაგრძელება.

**ჩვენი ძალები იზრდებიან.**  
მოსკოვი, 2 აპრილი. შვეიცის კომპარტიის

მთისტურ კავშირის ცენტრალური კომიტეტმა გა-მოაქვეყნეს მოწოდება, რომელიც მოწოდებს პარ-ტიულ ორგანიზაციებს და მუშაკებს დაიწყონ გან-ფხულის კამპანია კომუნისტურ ორგანიზაციების რიცხვის გადღებებისა და ახალგაზრდობის კომუნის-ტურ კავშირის შემადგენლობის გააქანსალების მიზ-ნით, ახალ კადრების მიწვევის და უფროსი წევრე-ბის კომპარტიის რიგებში გადსავლის გზით.

**გაგარბის რეაქციონერთა შორის.**  
მოსკოვი, 3 აპრილი. გელტი სასტიკათ იღწა-ტრებს ლოუნდონის წინააღმდეგ, რომლის პოლი-

### ოვანეს თუმანიანი

პრესამ უკვე აღნიშნა თუ ვინ იყო ოვანეს თუმანიანი.

ოვანეს თუმანიანი იშვიათი მგოსანი იყო არა მარტო სომხეთისადმი, რომლის საზოგადოების წარ-მოიშვა, არამედ მთელ ამიერ-კავკასიისათვის.

ოვანეს თუმანიანი თავის ერის უადრესად ნაციონალი მწერალი იყო, მაგრამ ის იყო აღზნე-ბული სალი ნაციონალიზმით, საუკუნოებით შებე-რებულ მებრუნებელ ერებთან ის პოეტურ ძახილით და მოწოდებით სცილობდა ძმობა სიყვარულის ხელთ უქმნელ ძეგლის აღმართვისას.

ოვანეს თუმანიანი დაეკავა საქართველოს წიაღში და ეს მეორე საშობლო მას უყვარდა წრფელად. მგრძობიარე ლექსებით იგი კოლხიდას თუ ივერის არარატის მწვერვლიდან ხშირად უგზავნიდა ამბორს... არარატის და იალღუზის სა-მარადეამო დამძობილებას ჰნატობდა.

ოვანეს თუმანიანი სიჭაბუკეში მდღელარ ცრემ-ლით დაატარა უბედო სომხეთი—ჰაიასტანი, მის ცრემლიან თვალთ უხილაეს ნანგრევები ანისა, უგრძნინა აწმეოს არარატა—რუსეთის იმპერატო-რის სიატრავების ველური ნავარდობა მშობლიურ ქვეყანაში და სევდით უქენესებია ცრემლით განა-მული ჩანჯური...

ოვანეს თუმანიანი მთელის სიმძიმით განიცა-და სამშობლოს უმწეობა და გულის მკვლელი სი-ნამდვილე. ოვანეს თუმანიანი იქცა ერის მესაიდუმ-ლეთ და მის სამსხვერპლოდ დანთებულ ცეცხლში შეგუზღადა.

განსვენებული მე ბევრჯელ მინახავს ტფი-ლისში, მას უყვარდა ქართველ ინტელიგენტს შო-რის ტრიალი და მათთან სჯა-ბაასი.

მსოფლიო ომის წინ ტფილისში—ინტელიგენ-ციის ვიწრო ჯგუფში მებრუნებლ ერების ენის და მწერლობის შესწავლის სურვილი დიდადა.

ოვანეს თუმანიანი ამ სურვილის გასანამდე-ლებლად მთავარ ფიგურად იყო წარმოდგენილი.

პირადად მე მივიღე მგოსნისაგან სამი გაცვე-თილი, მეტი ვერ მოხერხდა ჩემგან დამოუკიდებელ ბიზნებისა გამო.

ოვანეს თუმანიანი ახალგაზრდებში საუბრის დროს სხვათა შორის ქართულ სომხეთ სალიტერა-ტურთა ჟურნალის გაშოცემას/სთვლიდა აუცილებელ საჭიროებად.

უკანასკნელ დროს განსვენებული მე ვნახე 1918 წ. ბევრად გამოცვლილი და სხვა ახალ ფიქ-რებში ჩაძირული...

მის გარდაცვალების შემდგომ მის პატივცე-მისა და ხსოვნის უკვდავ საყოფად საჭიროდ მიმაჩ-ნია მის თხზულებათა ქართულად თარგმნა-გამო-ცემა და სომხურ ქართულ ჟურნალის დაარება.

ასეთი ჟურნალი იქნებოდა მრავალ ავტორთა მიტანა იმ სახეობა იქნებოდა, რომელსაც ამიერ-კავკასიის ერთა სოლიდარობის განმტკიცება ეწოდებდა.

ამ მხრით საქმე ანბანიდან უნდა დაეიწყოს, სომხებმა და ქართველებმა ერთმანეთი უნდა შე-ვიცნათ, თვინიერ ამის ჩვენი „მიღწერობა“ არ იქ-ნება გულწრფელი...

სამარცხვინო და მახინჯია ის ტოტველი ფაქ-ტი, რომ უმეტესობა როგორც ქართველ ისე სო-მხებს ინტელიგენციისს ურთიერთ ისტორიის და მწერლობის შესახებ ბუნდოვანი წარმოდგენაც კი არა აქვს.

ჩვენ ხშირად ზედ მიწვევით ვეცნობით ვე-ლურთა ყოფას და ჩინეთის წვრილმანებს, ხოლო ჩვენი საკუთარი თავის მშობლიურ რაობის და ვი-ნაობის გაგება კი ნაკლებ გვიინტერესებს.

დროა ეს სიმახინჯე განვიშოროდ!.. ჩვენ ვფიქრობთ ამ აზრის კონკრეტული პრაქ-თიკა—მისი რეალიზაცია ორივე ერის მწერალთა კავშირებს უნდა ხვდეთ წილად...

თუ მწერლობა, ერის ხმა-ლაღაღია და თუ იგი უნდა აკეთილშობილებდეს ერის როგორც გრძობა-შეგნება-აზროვნებას—ისევე უკაფადეს მას გზას სასურველ სამშვიდობოსაკენ, მან ეს კითხვა გულის-ხმიერებით უნდა მიიღოს და დადებითად გადას-ჭრას.

მისგან ნაყოფი მეტად ტკბილი და სამრადე-პოდ ძვირფასი იქნება.

ი. ბ. ბ.





სუთმაბათს, აპრილის 5-ს საქ. მეზარც. სოც.-ფედ. პარტიის ცენტრალურ ბიუროში (დორის-მელიქიძის ქ. №1)

შესდგება ტფილისის პარტიულ ორგანიზაციების წევრთა და თანამგრძობთა

### საერთო კვება

# არჩილ ჯორჯაძის

გარდაცვლებიდან 10 წლის თავის აღსანიშნავად. დასაწყისი საღამოს 7 საათზე.

მამულო კომიტეტებს ვეალებათ დაუყონებლივ მისცენ მსურველთა თვითნებური დადგენილებების ასლები ან ამონაწერები.

8. სამაზრო მიწად-მოქმედების განყოფილებაში სასტიკათ აღედგინებენ თვალყურს, რომ სამაზრო კოლფევის დადგენილებებზე შეტანილი საჩივრები

კანონიერ ვადაში იქნენ გამოგზავნილი მიწად-მოქმედების კომისარიატში ყველა საჭირო საბუთების თანდართვით.

მიწად-მოქმედების კომისარიატის ვ. ხატურა.

28 მარტი 1923 წ.

ქ. ტფილისი.

## წარჩილ სოფლიდან

### უდიდესი მტერი.

ლალისყურისა და საზოგადოდ კახეთის გაღმა მხარის სოფლების უდიდესი მტერი მათი ვაკიანობა და მთების ძირში მდებარეობაა. ეს იმიტომ, რომ სოფლების მცირედ დაქანებულ ადგილ-მდებარეობის გამო, წვიმებისა თუ თოვლის წყლები სასწრაფოდ ვერ მიეგებებიან ქვეით და რჩებიან გუბდებიან აქვე-ეს კი უმთავრესი მიზეზია დამპალი ციებ-ცხელების (მალარიის) მძინვარებისა გაღმა მხარის სოფლებში, რომელმაც ამოწყვეტა აქეთკენ მრავალი სოფელი (ლალისყური, შაქრინი, ტურის ციხე, ფაშანი და სხვა. ლალისყური იმოდენა სოფელი ყოფილა, რომ სამი მღვდელი ჰყოლია, ახლა კი სიმ-ცირის გამო ფშავებზეა მიწერილი). და სანამ უაღრეს ყურადღებას არ მივაქცევთ აქაური სოფლების განთავისუფლებას ამ გუბდებისაგან, ვერც ციებ-ცხელებს მოვსაზობთ აქ. ექიმები თავს იყრიან, მსჯელობენ, ეძიებენ რით და როგორ უშველონ საქმეს, ურჩევენ ნავთის მოსხმას გუბებზე, იმ ნავთისა, რომელიც მაისისხალად ფასობს დღეს და თვითონაც არა გვაქვს ღამის წყვილიადის გასაქარ-წყლებლად, გვირჩევენ კარ-ფანჯრებისა მავთულიანი ბადებით აფარებასა, გუბებისა და ჭიბების ამო-შრობასა და სხვა მზავს, ჩვენთვის ხელ-მიუწოდებელი საშუალებებითა.—А ларчик просто открылся—, —კრილოვისა არ იყოს...

ყველაფერიდან სჩანს, რომ ჩვენი წინაპრები ბინადრობდნენ თვით მთებზე და მათ ბორცვებზე ბარემ ერთი ასი და ორასი საყნით უფრო მალა იმ ადგილებზე, სადაც, სამწუხაროდ, გაშენებულია დღევანდელი სოფლები. ეს ცოტაა: რადგანაც სოფლებსა და სოფლებს შუა მდებარე მიწები უფრო ახალა სოფლებთან, ზედ მათ გავრცელდა, ამიტომ ყველა ეს მიწები პირველიდანვე სახანავ-სათესად არის გადაქცეული და ზრდა და გავრცელება სოფლებისა დროს მიმავლობაში და დღესაც ხდება ქვეით და არა მარჯვნივ თუ მარცხნივ მთებს ახლო.

ეს კი კარგი არ არის: ქვეითი მხარე სოფლებსა უაღრესად ხაზმინა და ხალხი თუ სწყდება მალარიით, აქედან სწყდება, სენი აქედან ედება მთელ სოფლებს, რადგან ცნობილია, რომ სოფელში რამდენიმე კაციც რომ იყოს მალარიით ავით, მალე სხვებსაც ეყრება ეს ქირი, რადგანაც კოლონი, ეს რისხვა კაცობრიობისა, ამათგან იღებენ ქირს და თავისი კბენით ვადააქვთ კარგა მყოფებზედ.

მე დაწერილი მაქვს ერთი დრამა „ქართლოსი“. მასში სხვათა შორის აწერილი მაქვს ლაპარაკი ქართლოსსა და მის მამის თარგამოს შორის მთაში და ბარში ცხოვრების შესახებ. მომავს მცირე უდიდესი იქნა.

ქართლოსი. მტკვრის ქვემოთში, როგორც შენც კარგად მოგეხსენება, მამაჩემო, ერთიანი მინდვრებია: წამლად რომ გინდოდეს მთაზე ასედა გასაგრილებლად ანუ ბარზე გადასახედობ, ერთს მთა-საც ვერა ნახავ იქ ახლოს. სულ სხვაა ზემოთში: აქ მთა და ბარი თანაბრად არის ქვეყნად მორიგე-ბული... რას გვირჩევი, მამაჩემო, სიღ უფრო ემყოფ-ნებდა ბინის მოკიდება მთა-ბარიანში თუ მინდვ-რიაში, მტკვრის ზემოთში თუ ქვემოთში?

თარგამოსი. მაგას რა დიდი გამოცდილება უნდა, შეილო, რომ მთა-ბარიანში სჯობია ბინის მოკიდება: მინდვრიაში მტერი ადვილად მოგაგნებს —დავაწიოკებს და, ხშირად, სულაც ამოგწყვეტს: ან მონებდა წავასხავს დედა-წულიანდ... სულ სხვაა, შეილო, მთა-ბარიანში ცხოვრება: ბინას მთა-ში გაიკეთებ და ბარი კი საძოვრად და დასაჩუშ-

ვებლად გექნება. მტერმა ბარი რომ წავიხდინოს კიდევ, მაგით ბევრს ვერას დაგაკლებს, რადგან მა-გარ ბინაზე მოკიდებულს გამარჯვ და თავდარიკიანს ვერ მშვიდობიანობის დროს ისე შეუძლიან გაავსოს ბინა სარჩითი, რომ მტერმა თუნდა სამი-ოთხი წე-ლიწადიც ანადგუროს მისი ბარი, იგი მინც იო-ლად გამოვა დარბევადან ამასთან, რაკი ცოლ-შვილი აუწიოკებელი დაურჩება, წვირ-ფეხობა მა-ლე წამოვზრდება და დანაჯლის ესენი შეუესებენ ქვეყანას... წესად დაიდეთ, შეილო, სოფლები მუ-დამ მთა-ადგილებში მოაშენოთ: იქ ჰაერიც უფრო სალია და წვირ-ფეხობაც მაგარი და სალი იზრ-დება, სალ და მაგარ ხალხს კი ვერც ბარის ხაზში და ვერც მტერი ვერას დააკლებენ. აი, აქაც (ურა-რტუში) ხომ უფრო მთაში ვცხოვრობთ, შეილო, ბარად ფეხი ვერ მოგვიკიდნია, რადგანაც სამხრე-თიდან მტერი მოსვენებას არ გვაძლევს და წვეული კოლი და ქინქლა კიდევ ხომ ცოცხლივ გვკვამს და გვხრამს! მთა-ბარიანში მოკიდევ, შეილო, ბინა, მთა-ბარიანში! როცა ბინა მაგარი და სალი გექნება, მერწმუნე, მინდვრიაშიც შენს ხელთ იქნება...

ჰო და იმას მოგახსენებდით, რომ სოფლებს შუა მიწები დღეს სახანავ-სათესებს აქვს დაკავებუ-ლი და სოფლებიც ამის გამო ქვეით შენდება. აუ-ცილებლად საჭიროა ჩაეროს ამ საქმეში მეცნიე-რება თუ მთავრობა, აღკრძალოს მთებიდან ნახევარ თუ ერთ ვერსზე ქვეით ხალხის დასახლება, ხოლო, რომ საბინე და საბალ-ვენახო ადგილი ყველას გა-სწყდეს, ებრძანოს მიწის კომიტეტებს, ყველა ის მიწები და ბორცვები, რომლებიც სოფლებს შუა სახანავ-სათესად მორიგებულა, მთლად საბინაო ფონდად დაიდვას და მიეზომოს მსურველებს დასა-სახლებლად თითო დღესტინა ეზოსთვის და და-ღენახისთვის, ქვემო მიწები კი მთლად სახანავ-სათე-სად იქონიონ. ასეა გამოღობა-მხარში, ასეა ვარეთ კახეთშიაც, ასე უნდა იყოს ჩვენი შიაც.

საჭიროა ერთი რამეც: დავეალოს ყოველ სო-ფელს, გაიყვანოს არხები მთის ძირბაზე და ჩაუშ-ვან ისინი რუსხმულეში და სხვა ლელებში თუ ნალარებში, რათა ამით ერთხელ და სამუდამოდ გზა მივცეთ მთებიდან წამოსულ ნიაღვრის წყლებს და მოვსაზობთ მთ გუბებში და ჭყანტობებში...

### ივანე ჩხობიაშვილი.

ბ. ნ. ნახიბი (სენაკის მარბა) 1923 წლის მარტის 8 „სახალხო სახლი“ დარბაზში (დადინის ყოფილი შენობა) დღის 4 საათზე შესდგა უპარ-ტიო ქალთა კრება მარტის 8 ქალთა საერთაშორი-სო დღესასწაულის აღსანიშნავად. თავმჯდომარედ აირჩეულ იქნა ანხ. ოდიშარია, მდივნად საბჭოთა სკოლის მასწ. ლ. ხოფერიას ასული. კრება გაიხსნა ინტერნაციონალის ჰიმნით. მოხსენება გააკეთა ნო-სერის თემის უპარტიო ქალთა ორგანიზატორმა ანხ. ზ. კორძიას ასულმა შემდეგ თემზე:

„საერთაშორისო ქალთა მოძრაობის და ქალ-თა უფლების მოხვედრის შესახებ“, მან განუმარტა მარტის 8 საერთაშორისო მნიშვნელობა და მოუ-წოდა მშრომელ მუშა ქალებს სოლიდარობისაკენ. მოხსენებელი დაჯილდოებულ იქნა მქუბარე ტა-შით.

მოხსენების დასრულების შემდეგ გამოტანილ იქნა შესაფერი რეზოლუცია.

მასწ. ფუბია ჩოფერიასი.

## გეგმვითი სიჭაპის გუგათა საქმიანობა

თავის სხდომაზე მარტის 22-ს სექციის ბიუ-რომ გაარჩია რა „ზაკავკავ. გულოკის“ თანამშრო-მლის საინსტიტუტისა და „რაბოჩა პრადას“ თანამშრო-მლის „ზუმბულდროსტის“ საქმე, გამოიტანა შემდეგი დადგენილება.

1) აღიარებულ იქნას, რომ საინსტიტუტის ლექსა პორნაგრაფიული ხასიათისაა.

2) დაეკისროს პასუხისმგებლობა „გულოკ“ ზა-კავკ. რედაქციის ამ ლექსის მუშურ გაზეთის ფუ-რცლებზე დაბეჭდვისათვის, რის გამოც „ზუმბულ-დროსტის“ და „რაბოჩა პრადას“ რედაქციის უფ-ლება ჰქონდათ გაეღაშებინათ პრესის საშუალე-ბით საინსტიტუტისა და „გულოკ“ ზაკავკ. რედაქციის წინააღმდეგ.

## ეკონომიური ცხოვრება

ნავთის კონცეხები. გასული წლის დასაწყის-ში სტანდარდ-ოილმა სცადა ჩეხო-სლოვაკიის მთავ-რობიდან კონცეხების მიღება მორავიის, სლავა-კიის და კარპატის ნავთის ექსპლოატაციისათვის. მიუხედავად ამისა, მთელი წლის შემდეგ, სტანდარდ-ოილის გამგებამ უარი გამოსთქვა ამ კონცეხების აღებაზე. ეს გარემოება გამოწვეული არის ახალი ნავთის კონცეხების მიღებით რუმინეთის ტერიტო-რიაზე და რამოდენიმე მომქმედ რუმინულ სამრეწ-ველობის შექმნით.

რუსეთ-აზერბეიჯანის ბაზმის ამხანაგობა. დამტკიცებულია ხელშეკრულება „რუსეთ-აზერბეი-ჯანის სახელმწიფო ბაზმის ამხანაგობის“ ორგანი-ზაციის შესახებ. ეს საზოგადოება დაარსებულია აზერბეიჯანის სახალხო კომისართა შეთანხმებით რ. ს. ფ. ს. რ. ბაზმის მთავარ კომიტეტთან, აზერბეი-ჯანის მებამბეობის და საბამო მრეწველობის აღორძინების მიზნით. ახლად დაარსებული საზოგა-დოების ამოცანაში შედის: ადგილობრივი ბაზმის

3) აღიარებულ იქნას, რომ „ზუმბულდროსტის“ ლექსში ადგილი არ ჰქონია საინსტიტუტის სხელონების გამოძლევენებას.

4) ყოვლად დაუშვებლად ჩაითვალოს პარტ-საბჭოთა პრესის ფურცლებზე პოლემიკის ის ფორმა, რომელიც აქვს „გულოკ“ ზაკავკ. რედაქციის ღია წერილს „რაბოჩა პრადას“ და „ზარია ვასტო-კას“ მიმართ, კერძოთ ისეთი სიტყვების ხმარება, როგორც არის „საზოზადრი სისინი“ („ზარია ვოს-ტოკას“ მიმართ) და „ყვითელი პოლემიკა“ („რა-ბოჩა პრადას“ მიმართ).

5) სამედიატორო სასამართლოს საკითხი სა-ინსტიტუტისა და ვინც არ უნდა იყოს სხვის შორის ამ შემთხვევაში ჩაითვალოს საინსტიტუტის კერძო საქმეთ.

მცენარის გაუმჯობესება, სელექციონური სადგურე-ბის დახმარება, ბაზმის თესვების შერჩევა და ბაზ-მის მიწოდება რუსეთის და აზერბეიჯანის მრეწვე-ლობისათვის.

შესხობაშია. უკანასკნელად მომხდარ აღწე-რით მესსოპოტამიაში ითვლება 2,8 მილ. სული; აქედან ბადადის პროვინციაზე მოდის 1 მილ. 360 ათასი კაცი, პროვინცია ბასსრუ-ზე—786 ათასი და მოსსულისზე—580 ათასი. სარწმუნოების მიხედვით მცხოვრებნი იყოფიან: ქრისტიანები—79 ათასი, ებრაელები—87 ათ. მუსულმანები—2 მილ. 641 ათასი და 42.000—სხვა რელიგიების. მესსოპოტამიის მნიშ-ვნელოვან სავაჭრო ცენტრებში—ბასსრუ და ბა-დადში 1920 წელს შემოტანილია საქონელი 9,08 და 2,86 მილ. გირვანქა სტერლინგის და ვატანი-ლია 2,34 და 4,31 მილ. გირ. სტერლინგის. თანა-მედროვე მესსოპოტამიის ტელეგრაფის ხაზის სიგრ-ძე უდრის—4827 კილომეტრს და ტელეფონის—426 კილომეტრს.

## სხვა და სხვა

რამდენი ხანია, რაც დედამიწაზე ადამია-ნი არხებობს. ჩვენი ცოდნა ამ საკითხის შესახებ უკვე უარყოფილი არის, მეცნიერი ანტროპოლოგის ვოლფის მიერ პალეონოლოგი ადმონინილ მესამე ეპოქის თავის ქალის გამო. კოლუმბიის უნივერსი-ტეტის ცნობილ პროფესორს ფრანც ბოასის აზრით, ეს თავის ქალა ნახევარ მილიონი წლით უფროსია ცნობილ „პიტეკანტროპუსის“ ქალაზე, რომელიც თავის დროზე ნახული იყო კუნძულ იავაზე. რად-გან ეს უკანასკნელი ქალა ნახევარ მილიონი წლი-საა, შეიძლება დავასკვნათ, რომ უკვე მილიონ წელზე მეტია, რაც დედამიწაზე გაჩნდა პირველი ადამიანი; ერთი სიტყვით, ის ადამიანი, რომელიც თავის ქალა ახლახან იქნა აღმოჩენილი, ვერ კი-დეც იმ დროს ცხოვრობდა, როდესაც ახლანდელი პოლიარული ზონა წარმოადგენდა ტროპიკული კლიმატის ადგილს.

ნიანგების გარშემო. ლონდონის ზოლოლო-გიურ საზოგადოების უკანასკნელ სხდომაზე აღ-მოჩნდა ნიანგებით მდიდარ ტბის ტანგანაიკის ოლ-ქის მონადირეებმან წარმოადგინა გაკვირვებული ზოოლოგების წინაშე მის მიერ მოკლულ ნიანგის კუჭში ნახული ნივთები. ნიანგის კუჭში მას უნა-ხავს. შემდეგი ნივთები: 11 მძიმე სპილენძის მუხ-რუქი, 14 ძვალი სხვა და სხვა ცხოველებისა, 18 დიდი ქვა და მთელი რიგი წვირლ საგნებისა გა-თავებული ძვირფასი ქვებით. ერთ-ერთმა დამსწრემ ამასთანავე საზოგადოებას განუცხადა, რომ ის დამსწრე იყო შემდეგი შემთხვევისა: ერთმა ადგი-ლობრივმა მცხოვრებმა მოკლა ნიანგი და მის კუჭ-

როს მუშის ხელფასი იყო, რომელიც ნიანგს,—გზათ მიმავალი ჩაუფარდა ხელში; მაგრამ იმ ადგილობრი-ვი მცხოვრების სიხარული დიდი ხნით არ გავრცე-ლებულა, რადგან მისი თემის მეთაურმა განაცხადა, რომ ყოველივე რაც „მისი“ ნიანგების კუჭშია მას ეკუთვნის,—და კონფესკაცია უყო ნიანგის კუჭში ნახულ ოქროს ფულებს.

მოსახლეობის აღწერა პოლონეთში. ამას წინად პოლონეთში მოხდა მოსახლეობის აღწერა, რომელმაც, სტატისტიკური უწყების ცნობით შემ-დეგი რეზულტატები მოგვცა. პოლონეთის მოსა-ხლეობის მთელი რიცხვი, სიღვიბის, ვილენშინის და ჯარის ჩარიცხვით 27.160.168 უქადგენს. ამრი-გათ, ევროპიულ სახელმწიფოთა რიცხვში ის მეხუ-თე ადგილს იჭერს. რაც შეეხება მოსიხლეობის სიმ-ჭიდროეს, ის პოლონეთში თანაბარი არ არის ყველ-გან. ამ მხრივ პირველ ადგილზე სდგას სილეზია (504), უკანასკნელზე ვილენინა (36). პოლონელები პოლონეთში 18,5 მილიონს შეადგენენ, დანარჩენი 8,5 მილიონი ეროვნული უმცირესობაა, რაც პრო-ცენტებში გამოიხატება როგორც 68—32 დმი, პო-ლონეთის აღმოსავლეთ ნაწილში ცხოვრობს 8,5 მი-ლიონ ეროვნულ უმცირესობიდან—6 მილიონი, სი-ლეზიაში 860.000 და დანარჩენები კი ცენტრალურ ჰუნტებში არიან ამასთანავე აღსანიშნავია, რომ ეს ციფრები, რომლებიც ეროვნულ უმცირესობათ ეხებია, არ შეეფერება სინამდვილეს, რადგან აღ-წერის დროს ენერგიული კამპანია იყო გაჩაღებუ-ლი ძალადობისა და ტერორამდისაც კი, რათა მრავ-ალ წარმომადგენლებს ეროვნულ უმცირესობისა, განსაკუთრებით ებრაელებს, თავი პოლონელათ გა-

## ბოკოვას ბენეფიცი.

სახელმწიფო ოპერის დამ-სახურებულმა პრემიერის მსახიობმა ქალმა ქ. ბო-კოვამ, თავისი არტისტიული დროების აღსანიშნა-ვით ამოიჩრია პუჩინის ოპერა „M-me ბატერფლიე“. მქ ეს ნაწარმოები პუჩინისა შემოქმედია ჩაეთვალო

ერთი თვალსაჩინო წარმომადგენელია ვერისტების, ახალი იტალიანური შკოლისა, რომელიც თავის ნა-წარმოებებში კარდინალურ მნიშვნელობას აძლევს სტენიურ სიუჟეტს, ხოლო მუსიკა თითქოს ამთაე-

ვიტარებდას. (ასეთივე პუბლიკის სხვა ნაწარმოებებიდან „ფლორია“ „ტოსკა“ „ბოგემი“ და სხვ.) „ბატერ-ფლეი“ ინგლისურად ნიშნავს სიფრიფანა-პეპე-ლას და ერთის შეხედვით, გგონია თითქოს აქ აღ-მათ საქმე, მხატვრული, მხიარულ თვისების ქალ-თან გვექნება საქმე, რომ მუსიკაც ატეოთვე მხიარულ პოტივებში იქნება საყვე-მარამ სინამდვილეში-კი ეს დრამა ქალის სულიერი დრამის ღრმა კატას-ტროფის მატარებელია.

M-me ბატერფლეი, იაპონელი გეიშაა, უმწი-კვლო ქალწული, ცხოვრების სიმბინჯით ხელ-შეუ-ხებელი, როდესაც ის პირველად შეხვდება ახალ-გაზრდა ამერიკელ მელოდორ-ოვიცერს პინკერ-ტონს. ჩინური ჩვეულების თანახმად, ახალგაზრდა პოტეკევე-გეიშებს, დროებით ჩამოსულ სტუმარ-ვერობიერებზე და ამერიკელებზე ჰყლიან ცოლე-ბათ. ამისათვის არავითარი მორალური და აზრი-დიული საქორწინო უფლება-პირობები არ არსებო-ბენ. ვათავდა სამსახურის ვლინების ვადა და ცო-ლი-ჩინელი მიტოვებული რჩება, აღარავის არ აინტე-რესებს თუ რას განიცდის ქმართან „გაყრის“ შემ-დეგ საბრალო ქალი. ასეთი ბედი არ სწევია გეი-შას. ჩიო-ჩიო-სანო, თავისი სიყვარული, მიმზიდვე-ლობისა და უბიწო ქალწულობის ნიშნით გადაერ-ჩვევა სახელათ პეპელა (ბატერფლეი). ახალგაზრდა ქალს მოსიყვარულე ვული, ღრმად შეითვისებს და თავდავიწყებამდე ვაენდობა ახალგაზრდა ამერი-კელს. მან იცის ერთი, რომ ის არის უკვე არა გე-იშა, არამედ M-me პინკერტონისა, დაწმუნებულია რომ თავის ქმარსაც ისე უყვარს, როგორც თითონ.

პინკერტონი მიემგზავრება ჩინეთიდან და თა-ვის ცოლს პირობას აძლევს უკანვე დაბრუნებისას. ვადის სამი წელიწადი და პინკერტონი არა სჩანს ამ ხანებში-კი გეიშას უკვე ბავშვი ყავს და უკანას-კნელ წუთამდე იმედს არ კარგავს, რომ ის საზუ-ღამოთ მიტოვებული არ არის. და ბოლოს იგი ვერ ხედავს სხნას და მიტოვების საშინელი აზრით შეძრ-წუნებული თავს იკლავს.

ბატერფლეის როლის შესრულება ღიღი დრა-მატიულ ტალანტს მოითხოვს. მართლაც ამ მუსიკა-ლურ დრამაში, ერთად ერთი და ეს ერთი გეიშა— ბატერფლეის როლია, სხვა ყველა დანარჩენი პარ-ტიები მხოლოდ ეპიზოდური ხასიათს ატარებენ და ასე ვსთქვათ დრამას ამთავრებენ.

მუსიკა—აქ, მხოლოდ ილიუსტრაციას წარმო-ადგენს, ძირულ მცირედლა ცალკე ვოკალური ნომ-რები, სამაგიეროთ ილისტრაცია აღსავსეა შელო-დებით და მეტათ ლამაზი რეგიტაციებით; მუსი-კა—intermezzo-თი, ღამით, როდესაც ბატერფლეი გადგება, რომ პინკერტონი დაბრუნდა და მთელი ღამე განთიადამდე ელის მას, საესებით იპყრობს მსმენელს. თავისი მელოდორობითა და ვანცდის სი-უხვით. აქ ბოლომდე გრძელდება მუსიკალური დია-ლოგი, რომელის შესრულება თუ სათანადო მილ-წევის არ არის—ყოველთვის მოსაბზრებელი ხდებ-ა.

ქ-ნი ბოკოვას, თავის ვრცელ რეპერტუარში, ბატერფლეის პარტიაც ერთ-ერთი შესანიშნავი მი-ღწევის საგანია. აქვე მიჩნეული. მართლაც მსახი-ობი შესანიშნავია თავიდან-ბოლომდე; ის ყურად-ღებით მისდევს ამ საუბრო დრამასაც და მუსიკა-ლურ ვანცდათა ცვალებადობას, პირველი აქტის უზრუნველი მხიარულობიდან შეუბრალოდ გარზო-ბის—სიყვარული-მელოდორობამდე.

ბოკოვის შესრულებიდან მსმენელს დრამის მძიმე შთაბეჭდილება რჩება და კიდევ მსახიობი მზრავლე ტაშისციმის საგანი იყო—სავსე აუდი-ტორიისაგან.

შემდეგი მთავარი როლის შემსრულებელი ორ-კესტრი იყო, ივ. ფალიაშვილის დირიგორობით. როშელიც საგანგებო აკომპანიმენტით, შლიდა პარ-ტიტურის მუსიკალურს და მელოდორებს ფერა-დებს.

აღსანიშნავია—ზოროს საუკეთესო შესრულე-ბა კულისებში, (Mezzo-voce) რომელმაც ბევრ-ღამაში განცდები მოგვანიჭა.

წარმოდგენაში გამართული იყო საბალეტ-დირიგტორისმენტო. ბ. მოისინევი, კიდევ ერთხელ და-ამტკიცა თავისი სრული უნებობა. ვერ გამოვიტა-როგორ შეიძლება ასე ურბრით და უმუსიკალურო-ითაში, რალაც უკანაური სატეკავო, ან არ შუაშია აქ რახმანოვის მშენებელი პრელოდია—აკომპანი-მენტათ. ვინ შეეუშა ეს pre ludi ფორტეპიანოზე, ისიც შეეუშა ასე ურბრით, მელოდორების გამოუ-თავთავებლათ.

სასიამოვნო შთაბეჭდილება დასტოვა შოპენის ვალის Sic mole შესრულებამ—ქ-ნ სოლომონოვის მიერ და უფრო უკეთესი—ჩაოლაშვილ სინათლის ეფექტებზე Valsa briste—შესრულება ბ. სიკირინს-კისა და ქ-ნ კოლოვას მიერ.

3. ზეპულოვა

ჩაქალაღვევის თეატრი

ალ. იმედაშვილის ვანტროლი „ოტელიო“ ხელმძღვანელი პ. ფრანკივილი. პარასკევს, 18 მარტს ტფილისის უბნის რკი-ნისგზას პროფესიონალურ კავშირთან არსებულ კულ-განყოფილების დრამატიული დასის მიერ აღ. იმე-დაშვილის და პ. კორიშელის მონაწილეობით წარ-მოდგენილ იქნა „ოტელიო“.

ყველამ კარგად იცის თუ პატარა სცენაზე რა ჭრილი და სამბიო დასადგმელი პიესაა, მაგრამ უნდა ითქვას, რომ ნაძალადევის თეატრში ამ სალა-შის მოლოდინს გადააჭარბებს.

ტენიკურად პიესას ზოგიერთი დეფექტების გამოხატვისით არა აკლდარა. ამ საღამოს სცენაზე სიცოცხლეს გრძობდა ყოველივე მსახიობი, იმედა-შვილი—ოტელიო, რა თქმა უნდა პიესას უკვე საკ-მარისათ ჰყავს დაფასებული, მაგრამ ვამბობთ რომ ამ საღამოს ის შეუდარო იყო. მე გგონია, დიდი ხანია ესეთი ექსტაზით არ უთამაშნია, რისთვისაც საზოგადოებამ დააჯილდოვა მზრავლე ტაშით. კორიშელი—იავო. ამ მსახიობსაც ტფილისის საზო-გადოება კარგად იცნობს და თვალსაჩინო ადგილიც უჭირავს აკადემიურ დასში. მისი იავო წინათაც გვინახავს, მაგრამ ამ საღამოს მსახიობი პირველ-ორ მოქმედებაში თითქოს გუნებაზე ვერ იყო. სამაგიერ-ოდ ის სცენა, სადაც პირველად აწვდის შხამს, შეუდარებელი იყო. უნდა მოგვახიზნო, რომ ხანდის-ხან იმერულ კილოს ურევდა და ეს ანელებს შთა-ბეჭდილებას. დანარჩენს როლებს ასრულებდნენ ადგილობრივ დასის წევრნი: პელაგია ლორთქიფა-ნიძე—დღეღმონა. ეს სცენის მოყვარე ქალი უსა-თუოდ საჭიროა და საპატიო ადგილსა იჭერს ნაძა-ლაღვეის სცენაზე; ხმა, ტანი, სილამაზე, ყოველივე ხელს უწყობს. დღეღმონა მან დასძლია. ნაძალადე-ვის სცენისათვის ლორთქიფანიძის ქალი დიდი გან-ძია. დიამნდოპოლო—ესისო, ჩემის ფიქრით ეს რო-ლი მას არ შეეფერება. ემილია—კუტუბაშვილისა— ეს სცენის მოყვარე ქალი დიდიხანია თამაშობს და აქამდის ვერც ვაკეთებდა არ იცის. ისე მისი თამა-ში დამაქყოფილებელი იყო ემილიაში. ბრამანციო—ლითინიშვილი უნდა იცოდნენ, რომ შექსპირისა და ისიც ლექსათ. ამიტომ როლს სწავლა სჭირდება. ისე ხმა, და თამაშიც კარგი ჰქონდა.

კარგები იყვნენ როდერიგო—თოთაძე, მონ-ტანო—თევზაძე, ლუდოვიკო—პაპელაშვილი. წარ-მოდგენამ საერთოდ კარგი შთაბეჭდილება დასტოვა. უსურვებ ნაძალადევის დასს გამარჯვებას. ხელმძღვა-ნელი პ. ფრანკივილი, ეტყობა დიდის დაკვირვე-ბითა და ენერგიით ეკიდება საქმეს, რასაც ნაძალა-ღვეის საზოგადოება აფასებს.

ნაძალადევილი

ბრ. ხაქ. მწერალითა კავშირის წლიური საზო-გადო კრება.

ხუთშაბათს, აპრილის 12-ს ხელოვანთა სასა-ხლეში საღ. 6 საათზე შესდგება სრ. ხაქ. მწერალ-თა კავშირის წლიური საზოგადო კრება. წესრიგი: 1) მოხსენება განგებობის მოქმედების შესახებ—კ. მაყაშვილი, 2) ანგარიშები—მ. ბოჭორიშვილი და-სასრულ არჩევნებში. სასურველია კავშირის ყველა წევრების დასწრება ბათუმის, ქუთაისის კახეთის და სხვა ქალაქების მწერალთა კავშირებს ევალეობათ თაფიანთი წარმომადგენლების გამოგზავნა. ტფილის-ში მცხოვრებ მწერლებმა რეგისტრაციისთვის უნდა მიმართონ მდივან მ. ბოჭორიშვილს (სურგვივისა 13) რომელიც დაარჩევს კრებაზე დასასწრებ ბა-რათებს.

ახალგაზრდა პოეტების ხალხი. 18 აპრილს, მე-2 სახელმწიფო კონსერვატორიაში გაიმართება პირველად საქართველოში: „ხალხი გოფანას“ დაწერილებით აფიშებ-ში.

ოტელიოს იუბილე. წელს სრულდება 100 წელიწადი, რაც დაიბადა რუსეთის გამომჩენილი დრამატურგი ოსტროვსკი. რუსული დრამატიული სექცია ცენტრარმიელებთან ეზადება ამ იუბილეს აღსანიშნავად. წავა მისივე პიესები: „სხვის ლოგინ-ში ნუ ძვრები“ და „კუხილი“ 1 მოქ. წაკითხულ იქნება ლექცია ოსტროვსკის მოღვაწეობის შესა-ხებ.

ხაში. იესო. ამავე სექცია აშხადებს რეისნერის ახალ პიესას „სამი იესო“. პიესაზე გამოყვანილია სამი იესო. იესო ლარობების, მდიდრების და ბიუ-როკრატების. თვით პიესის ხასიათი ავტორევი-ლიუციონურია.

სექციაში მუშაობენ 22 სცენის მოყვარენი. ამ რიცხვში 7 ქალია, დანარჩენი წითელ არმიელნი. რეისნერის პასტალოვსკი. წარს დახმარება არსაი-დან არ აქვს, სისტემატიურად წითელ არმიელთათ-ვის იმართება წარმოდგენები. რეპერტუარი ავტო-რევილიუციონურია.

მომღერალი ელიოზიშვილი. ტფილისში იმ-ყოფება კიევის ოპერის მსახიობი ელიოზიშვილი. მომღერალს ვანზრახვა აქვს მოაწყოს ახლო მომავ-ალში კონცერტი, სადაც შეასრულებს აგრეთვე ქართულ რომანსებსაც.

ხიყვარულის ხაზღვართან. დრამატურგმა ტრი-ფონ რამიშვილმა უფრო გააფართოვა თავისი ახალი პიესა „სიყვარულის საზღვართან“, რომელიც წარ-სულ თვეში დაიდგა სახალხო სახლში შალვა და-დიანის რეისრობით. ავტორს ვანზრახვა აქვს დაიდგას პიესა დიდ სცენაზედაც.

რედაქტორი—სარგედქიკო კოლეგია. გამომცემელი—მთავარი კომიტეტი.

წერილი ჩაქაძიის მიმართ დღემდე არც ერთ პარტიაში არ ვმუშაობდი. დღეს დანაშაულობათ მიმართა პოლიტიკური ბრძო-ლის ვარგეშ დგომა, როდესაც ღრმა კონფლიქტებს

აქვს ადგილი და უნდა გადაწყდეს ურისა და ხალ-ხის ბედი. საქ. მემარცხენე სოც.-ფედ. პარტია, რომელიც სდგას ქართველი მშრომელი ხალხის ეროვ-ნულ-სოციალისტურ სადარაჯოზე არის ერთად-

ერთი სწორი პოლიტიკის მქონე ჩვენი ქვეყნისა-თვის. ამიტომ ამერიკიდან ნათესავებულ მემარცხენე სოც.-ფედ. პარტიის მხარეზე უკეთესი გზაა.

დაობლებული შვილები: ვეროსი და გრიშა ჟღენტები, ქალიშვილები: ნატო შარაშიძისა მეულ-ლითა და შვილები, ფაცია რამიშვილისა მეულლითა და შვილებით, ცუკუა მგალობლიშვილისა მეულლით, ძმა ირაკლი ხუნდაძე შვილებითურთ აუწყებენ ნათესავთა და მეგობართ მათი დაუ-ვიწყარი დედისა და დის

სალომე ჟღანისი

გარდაცვალებას, რომლის დაკრძალვა მოხდება აპრილის 3-ს, (გურიი)

ლაშქარში მ-ა. ჩ. ვანყოფილებისგან აღებული სარეგისტრაციო ბარათი არჩილ მოდებაძის გარდაცვალების შესახებ გაუქმებულად ვაცხადებთ.

ა. მოდებაძე.

ჯანმრთელობის სახალხო კომისარიათი. ს. ს. რ. მთავარი სპეციალური მართვლოვა. მომავალ შესაკეთებელ საღამოებში—ტენიკური სამუშაოების გამო, საქართველოს სა-ხელმწიფო კურორტების აღსადგენათ და სამრეწველო დაწესებულებათა ექსპლოატაციის-თვის, საქართველო მასალა: ლურსმები, სხვადასხვაგვარი რკინა, საღებავი, წყალ-სადენის და ელექტროული განყოფილებანი, ინვენტარი სანატორიებისა და საავთმყოფო-ბისათვის და სხ.

10 აპრილამდე საქართველოს ბონები უნ-და გადაცვლილ იქნან ამ.კ.კ. ფულის ნიშნებზე. ამხანაგებო მუშებო და გლეხებო! მეურნეობის აღორძინების მიზნით, ამიერ-კავკასიაში ფულის ნიშნები გერ-თანდა და გამოიცა ახალი ნიშნები. ფულის ახალმა ნიშნებმა უნდა შესცვალონ საქართველოში, სომხეთში და აზერბეიჯანში არსებული ნიშნები. ფულის ნიშნე-ბის გადაცვლის უკანასკნელ ვადათ გამოცხადებული იყო მიმდინარე წლის 10 მარტი, შემდეგ ეს ვადა გაგრძელებულ იქნა 10 აპრილამდის. ამ ვადადის საქართველოს ბონები უნდა შეიცვალონ ამიერ-კავკასიის ფულის ნიშნებით. ამ ვადის შემდეგ, ე. ი. 10 აპრილიდან საქართველოს ბონები, ფულის მნიშვნელობას კარგავენ და ხმარებაში აღარ იქნებიან, არც სახელ-მწიფო დაწესებულებანი და აღარც კერძო ვაჭრები ამ ფულს, 10 აპრილის შემდეგ, აღარ მიიღებენ. ამიტომ თქვენ უნდა ეცადოთ სა-ქართველოს ბონები აღნიშნულ ვადადის გადასცვალოთ ამიერ კავკასიის ფულის ნიშნებზე. ვაჭრებმა და სპეკულანტებმა ეს დიდი ხანია ვაკეთეს და საქართვე-ლოს ფულები უკვე გადასცვალეს ამიერ-კავკასიის ფულის ნიშნებზე, რიგი თქვენზეა და თუ არ მიიღებთ ხასწრაფო ზომებს, დაგეკარგებათ ქო-ნების ნაწილი. ფულების გადაცვლის გასაადვილებლად ყველა ხაზინაში და ფოსტა-ტელე-გრაფის დაწესებულებებში გადაგზავნილია გადასაცვლელად საქმაო თანხა. ყველა ხაზინა და ფოსტა-ტელეგრაფის კანტორა ვალდებულია გა-დაცვალოს მცირე ფული ახალზე დაუბრკოლებლია. ვისაც შეუძ-ლიან დაუყონებელი მიმართით ამ დაწესებულებებს ფულების გადასაცვლელად, ვისაც არ შეუძლება ეს, შეეგროვეთ სოფლად გადასაცვლელი ფული, მიანდეთ თქვენ მიერ ამორჩეულ რწმუნებულს და დაავალეთ მას გადაცვა. იგი მახლო-ბელ ხაზინაში გადასცვლის, შემდეგ დაუბრუნებს თვითფულს თავის ხვედრ ფულს. არ უცადოთ უკანასკნელ ვადას, რადგან თუ ამ დროისათვის გადასდებთ ფულის გადაცვლას, ხალხი ბევრი მოაწყდება ხაზინებს, ყველას დაქაყოფილებას იგი ვერ შესძლებს და ზოგს დარჩებათ ხელზე ისეთი ფული, რომელიც მეორე დღეს ფულის მნიშვნელო-ბას დაკარგავს. ამხანაგებო, ხელისუფლების წარმომადგენელნი და კომუნისტურ პარტიის წევრნი, მუშების და გლეხების დაცვა თქვენი ერთად ერთი მოვალეობაა. თქვენ თქვენი ტერიტორიის ფარგლებში არ უნდა დაუშვათ, რომ რომელიმე მუშა ან გლეხი დაუმსახურებლოდ დაისაჯოს რითიმე. შიილეთ ზომები, აცნობეთ ყველას, გაავებინეთ მუშას და გლეხს ფულის გადაცვლის საჭიროება, ნუ დაუშვებთ, რომ რომელიმე გლეხს ან მუშას ხელზე დარჩეს ისეთი ფული, რომელიც 10 აპრილის შემდეგ და-კარგავს მნიშვნელობას. გაავრცელეთ მოწოდებანი, კრებებზე სოფლებში და დაბებში გამოუცხადეთ ხალხს რა შედეგი მოყვება ფულის გადასაცვლლობას 10 აპრილის შემდეგ, ხელი შეუწყეთ რწმუნებულთა არჩევნებს ფულის გადასა-ცვლელად, თვალყური ადევნეთ მათ სამართლიან მოთხოვნების დაქაყოფი-ლებას ხაზინებში და ფოსტა-ფელეგრაფის დაწესებულებებში. ა. ქ. ფედ. ფინანსთა სახალხო კომისრის რწმუნებული 310-1-1 საქართველოში ბ. ბიბინიშვილი.